ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4102743

ნომერი: AR1606170

თარიღი : 05.06.2018

გაცემის თარიღი : 03.08.2018

გაცნობის თარიღი : 03.08.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 65;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ილია ჯიქია პ/ნ 62001038463
- თბილისი, დოლიძის 10

ორგანიზაცია:
- შპს დემორი კოდი: 405028018

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის (კ2) მოსაკრებლის გადახდის განწილვადება

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 610502
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 26.03.2013

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 05 ივნისს №AR1606170 განცხადებით მიმართა ილია ჯიქიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №65-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.020.011) ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 18 თებერვლის №226 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის განწილვადება.

სამსახურში ასევე ფიქსირდება ილია ჯიქიასა და დავით კობახიძის 2018 წლის 05 ივნისის №AR1613932 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 03 ივლისის №ბ.19/01181302419-17 ბრძანებაში დაფიქსირებული დარღვევების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მათი დასაშვებობის დადასტურება. განცხადებითა და მასზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №65-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.020.011) შენობა-ნაგებობის მშენებლობა დასრულებულია.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის 172 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უფლება აქვს, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით აქვს მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, მოსაკრებლის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე დადოს შეთანხმება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გაზრდისას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის განაწილვადების თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 18 თებერვლის №226 განკარგულებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, შენობა-ნაგებობის მშენებლობა დასრულებულია, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის განწილვადება მიზნად არ ისახავს შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულებას. შესაბამისად, შეთანხმების დადება არ შეესაბამება კანონმდებობით დადგენილ მიზნებს და განმცხადებლის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.